

# ლიცენზირებული საშუალო



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ ღამათემა  
№1, 31 იანვარი, ორშაბათი, 2022 წელი

## მე ვდგავარ მზისკენ გაშვერილი მათხოვრის ხელით!!!

ზედაზნის გზაზე გაიტანა მანქანამ შველი  
და ასკილებმა აპრილამდე ჩაიცვეს ძაძა,  
მე ვდგავარ მზისკენ გაშვერილი მათხოვრის ხელით  
და ვითხოვ სითბოს, მხოლოდ სითბოს და არა ხანძარს!

აივნებიდან გადმოფინეს მაქმანი ბევრი,  
უცხო მხატვარი ყაისნალით გაზაფხულს ბაძავს  
და ვდგავარ მზისკენ გაშვერილი მათხოვრის ხელით  
და ვითხოვ შველას, ვითხოვ შველას და არა ხანძარს!!!

მამულო ჩემო, ვერ დაგატყვე შრომა და გარჯა,  
მიტომაც, ბედი მასხრად მიგდებს ბებერს და არჯალს,  
ცოტალა დარჩა, ალბათ, ცოტა ზიარებამდე,  
თავად ჩავტოვებ ნეკნებს შუა შხამიან ხანჯალს.

მადლობელი ვარ, რაც იყო და ის, რაიც დარჩა,  
აღარ ვაპირებ ნუთისოფლის კარებთან ჩანჩალს,  
მორჩა ნაპირი, იქნებ იგი ნაპირიც არ ჩანს,  
მაშ, ეს ცხოვრება ხატი იყო, თუ მხოლოდ ხარჭა?!.

აივნებიდან გადმოფინეს მაქმანი ბევრი,  
უცხო მხატვარი ყაისნალით გაზაფხულს ბაძავს  
და ვდგავარ მზისკენ გაშვერილი მათხოვრის ხელით  
და ვითხოვ შველას, ვითხოვ შველას და არა ხანძარს!!!

*რიზო ამსუყელი*

16 დეკემბერი, 2021 წელი,  
პოეტის უკანასკნელი ლექსი...

# მოგონებების სივრცე



მხეული  
ცყუელაშვილი

## ეგ ღმერთგამწყრალი, ეგ ...

ეს ამბავი საბჭოთა ხელისუფლების ზეობის დროს მოხდა. ვიქნებოდი მაშინ, ასე, ხუთი წლის ბავშვი, მაგრამ ყველაფერი ისე მახსოვს, თითქოს გუშინ იყო.

ვწუხვარ, რომ ამ ნოველის პერსონაჟებიდან, ამჟამად ცოცხალი არავინაა!

კარგი იყო თუ ცუდი საბჭოთა სისტემა, ამაზე ბევრი დაინერა და დაინერება კიდევ. მე ამ საქმის ვერც ექსპერტად გამოვდგები და, სიმართლე გითხრათ, არც კომპეტენცია მეყოფა საამისოდ. მხოლოდ იმას დავწერ, რაც მჭირდება ძირითადი აზრის ჩამოსაყალიბებლად.

დიდი სოფელი იყო (ახლაც დიდია, მაგრამ... ეს მიგრაცია!) ჩემი ბზვანი და, შესაბამისად, კოლმეურნეობაც ერთერთი სანიმუშო იყო რაიონის მასშტაბით, სადაც ძირითადად სიმინდი, სოიო, ლობიო, ტურნეფი, ხახვი მოჰყავდათ. კოლმეურნეობას გაშენებული ჰქონდა ცოლიკაურის ჯიშის ვაზი. ჰყავდათ, აგრეთვე, საქონელი და ღორები.

მოკლედ, დიდ კოლმეურნეობას, ალბათ, მოზრდილი ფინანსებიც ექნებოდა. კოლმეურნეობის ფინანსებს მაშინ ერთი პირი განაგებდა, რომელიც ჩვენი ოჯახის ახლობელი იყო. რაც თავი მახსოვს, კოლმეურნეობას ერთი კაცი ხელმძღვანელობდა, ამიტომ მისაღები პერსონა უნდა ყოფილიყო სისტემისათვის. ოღონდ, ვაჭრობით დაინტერესებული კოლმეურნეები დასანახად ვერ იტანდნენ და თავისი „კოლხოზნიკის“ ავლა-ჩამოსვლისას, პირდაპირ, იმალებოდნენ!

ერთ დღეს, იქნებოდა ასე, საღამოს ხუთი საათი, როცა ჩვენი ოჯახის ახლობელმა კაცმა რაიონიდან ამოიარა და ჭიშკართან მდგომი დედაჩემი შინაურულად მოიკითხა. დედამ სახლში შემოიპატიჟა სტუმარი. დიდი თავპატიჟი არც მას გამოუდია. ალბათ იფიქრა, ცოტას დავისვენებ და გავაგრძელებ გზას, დავილალო. ეტყობოდა, რომ სტუმარი დაღლილიც იყო და ნასვამიც. აივანზე ტახტი გვედგა და დედაჩემმაც იქ შესთავაზა მოსვენება. სანამ ტახტზე წამოწვებოდა, სტუმარმა რაღაც პარკი შეაჩერა დედას ხელში და უთხრა: თუ და ხარ, შემინახე და ერთ საათზე მეტს ნუ მაძინებ, წინ კიდევ მაქვს სავალიო.

დედაჩემმა პარკი ჩამოართვა, არც დაუხედავს, რა იყო შიგ, – შეიტანა ოთახში და კარადის ზედა უჯრაში მიუწინა ადგილი. მერე ბავშვები გაგვაფრთხილა, რომ არ გვეხმაურა, სტუმარს მოსვენება უნდაო და თვითონ ბოსტანში გადავიდა ჭყინტი ლობიოს დასაკრეფად. მე და ჩემი და კი ეზოში გავცვივდით სათამაშოდ.

გავიდა გარკვეული დრო, რაც სტუმარს ეძინა. ამასობაში დედამ ლობიოც დაკრიფა, დაამტვრია კიდევ და ცეცხლზე შემოვდგა ვახშმისთვის. გაიღვიძა სტუმარმაც, თურმე, (დედაჩემის მონაყოლს ვყვები) დანა პირს არ უხსნის, ისეა დაღვრემილი და გასაცოდავებული. რა თქმა უნდა, დაეხმინა დედა: ჯერ ადრეა, რა გეჩქარება, მეუღლეც მოვა და ერთად ვივახშმოთო.

– ვახშამი კი არა, რაც ვჭამე და დავლიე, ისიც შხამად უნდა შემერგოს! – თქვა მწუხარე ხმით სტუმარმა და სიმწრისაგან სახე ხელებში ჩამალა.

– რა მოხდა, არ იტყვი, ადამიანო? – ჰკითხა მასზე არანაკლებად შეწუხებულმა დედაჩემმა.

– რა და... ცეცხლი და ნავთი დავლიე მე! პარკი მომქონდა ფულით სავსე და მგონი ავტობუსს გამიყვია! – ძლივს ამოღერდა სათქმელი სტუმარმა.

ამის თქმა, დედაჩემის ოთახში შევარდნა და გამოვარდნა ერთი იყო.

– ეს პარკი ხომ არ იყო? – ეკითხება სტუმარს და ხელში აჩეჩებს ორი საათის წინ მიბარებულ ნივთს.

ნეტავი გენახათ კაცის რეაქცია: ჯერ გაშეშდა, მერე ცხვირსახოცით თვალები და შუბლი მოიწმინდა, თითქოს სიცოცხლე დაუბრუნდა და გაბრწყინებული თვალებით დედას შეაჩერდა.

– ეგ არის, ეგ! დაილოცოს შენი გამზრდელი! – გაიძახოდა მუხლებზე დაჩოქილი სტუმარი და დედას ხელებს უკოცნიდა.

დედაჩემმა ყველაფერი უამბო სამსახურიდან დაბრუნებულ მამას. მამაც შეწუხდა. უბრალო ამბავი ხომ არ იყო...

– ისე როგორ დათვრა ის ღმერთგამწყრალი, რომ არ ახსოვდა, ვის მიაბარა ამდენი ფული! იქნებ, სულაც იქ დარჩენოდა, სადაც დალია, ან ავტობუსში ჩასძინებოდა და... – ბობოქრობდა მამა და ხშირად იმეორებდა სტუმრის მისამართით:

– ეგ ღმერთგამწყრალი, ეგ...

## საჩუქარიც ამას ქვია!

იმ ძნელბედობის ჟამს, დევნილების ერთი ნაკადი რუსთავში მოვხვდით. ვისაც სამართლიანობის პრეტენზია აქვს, დამეთანხმება, რომ მშვიდობიანი მართლა, არ ვყოფილვართ, მაგრამ შიმშილი შეგანუხებს თუ სიცივე შეგიქმნის დისკომფორტს, არა მგონია, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს.

სწორედ ასეთ დღეში ვიყავით გვიანი შემოდგომის ერთ დღეს. შემოგვიტია, მაგრამ რა ძალით შემოგვიტია სიცივემ! გვცვივა დღისით, გვცვივა ღამითაც! ლოგინად მხოლოდ სიფრიფანა პლედები გვაქვს. ცხენი გაჭენდება, იმხელა ოთახებია, – უზარმაზარი ფანჯრებით, საიდანაც თავისუფლად შემოდის ქარი.

ვზივარ ვეებერთელა დარბაზში და... მუთაქებს ვკერავ. დარბაზი საერთო იყო, რომელსაც დანიშნულების მიხედვით ვიყენებდით. იჟამად იქ ეყარა გადანარჩევი, მეორადი ტანსაცმელი, რომლითაც შეგვეძლო ნებისმიერ დროს გვესარგებლა.

არ მკითხოთ – მუთაქებს რისგან კერავდიო! იძულებული ვიქნები, გიპასუხოთ, – სპორტული შარვლის ტოტებისგან-მეთქი! თუ იმასაც მკითხავთ, ვინ მომცა საამისო ბამბა, გიპასუხებთ, რომ არც არავინ. შიგ (შარვლის ტოტებში) მომცრო ტანსაცმელს ვტენი... მსგავსი ტანსაცმელი ბლომად მოჰქონდათ, მაგრამ თბილი სამოსი გვაკლდა. მოკლედ, სითბო გვინდოდა... პირდაპირი გაგებით!

– ყველას ვუკერავ! გუშინაც ვკერავდი, ცოტა ხნით და ახლა გავაგრძელებ. სადაცაა მოვრჩები კიდევ. ხელით ვკერავ, აბა რას ვშვრებ! საკერავი მანქანა, ბამბა და... (ტელეფონის ზარმა შემანყვეტინა ჭრა-კერვა და მწარე ფიქრები).

– ნეტა ვინ მირეკავს, ვის გავახსენდი, – გავიფიქრე ჩემთვის. ზარი მართლაც შემოდიოდა ადგილობრივი ხელისუფლებისგან, არასამთავრობოებისგან, ნათესავებისგან. გვამხნევებდა ეს ზარები, მაგრამ ბოლოს მაინც მარტონი ვრჩებოდით საკუთარ თავთან და რეალობასთან... ვიღებ ტელეფონს:

– დიახ, მე გახლავართ! – დავადასტურე ჩემი ვინაობა და ვაგრძელებ საუბარს:

– რას ვიზამთ, ვუძლებთ. დიდი მადლობა. ტერიტორიულად რუსთავში ვართ, მთელი ოჯახი. როგორ ვერ მოვახერხებ! დიახ, შემიძლია ახლავე წამოვიდე. ყველაფერი გასაგებია, გმადლობთ!

ვინ მირეკავდა და... კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი.

– როგორც თანამშრომელს, გვინდა, რაღაცით დაგეხმაროთ, საამისოდ, თბილისში უნდა ჩამოხვიდეთ და თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტიო.

ოჯახის ყველა წევრისთვის გასაშლელ სანოლებს, ლეიბებს, ბალიშებს, საბნებს და თეთრეულს დამპირდნენ! გესმით, ხალხნო?! ოჯახის ყველა წევრისთვის! მოდი და, ნუ უწოდებ ამის მთქმელს შენს ღმერთს!..

ისეთი მოცემულობა მქონდა მაშინ, რომ მხოლოდ ასეთ საჩუქარს შეეძლო ჩემი გახარება!

სიცივეც უმალ გადამავინწყდა და სხვა ყოფითი პრობლემებიც! დარეკვიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ თბილისში ამოვყავი თავი. თურმე, რა შეძლებია ყურადღებასა და თანადგომას!

თბილად მიმიღეს. გადმომცეს დანაპირები, რუსთავის ავტობუსშიც ჩამსვეს, გამომაცილეს და კეთილი სურვილებით დამემშვიდობნენ.

ბედის ნებიერი არასდროს ვყოფილვარ... სწორედ ამან გამაკვირვა და გამახარა მომეტებულად!..

იმ დროის გადასახედიდან, ერთადერთი, რაც შეიძლებოდა მეთქვა: გამართლებაც ასეთი უნდა და საჩუქარიც ამას ჰქვია!..

## შენი წყალობით

ვარ ნუთისოფლის სტუმარი  
და დედამინის მგზავრი,  
რაც თავი მახსოვს, ვიბრძოდი,  
არ მითხოვია ზავი!  
კრიჭაში მიდგას განგება,  
განსაცდელს მივლენს ამდენს,  
ერთს მოვავგარებ, მეორე –  
მუდამ ჩრდილივით თან მდევს!  
შენი წყალობით, უფალო,  
მოსვლის მიზანი ვიცი,  
მადლიერებ და მფარველობ,  
ამას რად უნდა ფიცი!  
ვარ ამასოფლად სტუმარი,  
მინად ვიქცევი, მინა!  
თუ არჩევანი მექნება –  
წვიმად მოვიდე, მინდა!



# პოეზია



ფუფუნა  
ცენგირაშვილი-ქერიიშვილი

## ნატვრა

დგება შობის სასწაული,  
 ღმერთო, ნატვრა ამისრულე:  
 გაჭირვებულს ნუ მაჩვენებ,  
 გაათბე და დააპურე.  
 ღვარძლი, მტრობა, ბოროტება  
 ამოძირკვე, აგვაცილე,  
 გაქცეული ემიგრანტი  
 შიმ მშვიდობით მოაცილე...  
 ორგულობა დაგვაწინე,  
 მტერი სიმწრით გააცილე...

## თოვს (ძველი რვეულიდან)

ისე ლამაზად თოვს,  
 ისე სათუთად ბარდნის,  
 აღარ ვინატრებ მზეს,  
 აღარ მოვუხმობ აპრილს.  
 მხოლოდ გინატრებ შენ,  
 შენ, ჩემო გულის ერთავ,  
 ამ ულამაზეს ღამეს  
 ვიხეტილოთ ერთად...  
 მათოვს მხრებზე და ფიფქი  
 ღანვებზე ჩუმად დნება,  
 მხრებგაშლილ ნაძვის ტოტებს  
 ედება ნება-ნება.  
 იქნებ იმასაც უყვარს,  
 ისიც მოელის სატრფოს,  
 თოვლიან ტოტებს ვბერტყავ,  
 შენს გამოჩენას ვნატრობ...

\*\*\*

დრო გამიფრინდა,  
 როგორც ჩიტი ღია სარკმლიდან...  
 შვიდ ათეულ წელს (ცოტა მეტსაც)  
 გუდასავით ვიხსნი მხრებიდან...  
 აუხდენელი ოცნებების, ნატვრის ჭინჭები  
 ჩამოძენილნი დამცქერიან  
 სველ ხეებიდან...  
 დრო გამიფრინდა!..

\*\*\*

აი, ვარსკვლავი ჩამოწყდა ზეცას,  
 და დადგა ჟამი ნატვრის ახდენის,  
 მაქვს უთვალავი წრფელი სურვილი  
 და საოცნებო ნატვრა რამდენი...  
 ყველაზე ძლიერ ვინატრებ ქვეყნად  
 ბავშვთა თვალეში სხივების ციალს...  
 და თუ ეს ნატვრა მართლა ამიხდა,  
 დავთმობ იმ ერთი ვარსკვლავის კიაფს...

\*\*\*

რომ შემძლებოდა ნერონივით  
 რომის გადაწვა,  
 ჩემს რომს დავწვავდი...  
 ფერფლსა და ნაცარს  
 ქარს გავატანდი,  
 პილატესავით დავიბანდი  
 ხელებს მშვიდად და...  
 ურჩად გადაშლილ ბედისწერის  
 წიგნს დავხურავდი!

\*\*\*

მოაკაკუნებს აგერ,  
 კარზე ფიფქების სუსხი,  
 მე კი კარს უკან დავდე  
 სითბო და მატყლის ბუმბლი.  
 ზამთარი ღრიჭოს სინჯავს,  
 მის უკან ფხიზლად ვიციდი,  
 ავსებული მაქვს სირჩა  
 კვლავ სიყვარულის სიზმრით!  
 ვეფოფინები როგორ,  
 ჩემს პანანინა ფუმფლებს,  
 ნურავის კარზე მოთოვს,  
 მარად მზე იყოს ზღურბლზე!  
 მოაკაკუნებს, ნავა,  
 გზას გაუყვება შორით...  
 კარს უკან ლოცვით ვდგავარ  
 დედა, შვილი და ცოლი!

\*\*\*

ასე, უცნაურად  
 საიდან მოცურდი,  
 ღრუბელი – სევდიანი სიმებით?..  
 ცას ჩამოაყარე წყენა და წუხილი  
 ნაცრისფერ, უსახო მძივებით.  
 ასე, უსწრაფესად  
 როგორ მოირბინე  
 სულეთის მიდამო, ულევნი?  
 როგორ შეგიძლია,  
 რატომ შეგიძლია,  
 მზეს რომ ჩამოსტაცო სხივები!  
 ... ასე, უსწრაფესად საიდან მოხვედი,  
 ღრუბელი, – სევდიანი მძივებით...

\*\*\*

ზაფხული თმაში ფერებს იმშვენებს,  
 სიზმარში, მთებში იღვრება თქორი,  
 ყაყაჩომ უკვე დატოვა მოლი,  
 მინა კი ელის ციურ სისველეს...  
 ბარში მდინარეს გვალვა აწამებს,  
 ხეების ფოთლებს თვალი „უხუჭავთ“,  
 სახლებს დღეები ტკივით უჩუმრად,  
 მზე ეფიცება კვლავ ჩემს ნამნამებს...  
 და ასეთია ჟღალი სიჩუმეც,  
 აგვისტოს ხრიოკს ვუმზერ წვიმებით,  
 ფუნჯი, კალამი, მზე არშიებით –  
 ბედთან უტეხი ჩემი სიურჩე!

## შეგრძნება

ქარვის სითბო,  
 სიტკბო თაფლის,  
 თუნდაც, ნაბლის თაფლის  
 ისევე მიხმობს...  
 ჩემი თვალი,  
 ფერით არის მთვრალი...  
 გული ითხოვს  
 მზისფერ დისკოს,  
 გასდევს ჩვენი კვალი,  
 ასეთ ცის ფონს,  
 ყვითელ ცირკონს  
 ბადაბშებს და ლალის,  
 ერთად ვიტკობთ!  
 ერთუროს ვიხმობთ,  
 ფოთოლცენის გამით!



სათუნა ჩივაძე - 45


\*\*\*

დატკბი...  
 ნაქარგ სხივებში,  
 ოქროსფერ დღის წვიმებში,  
 ბალახების სითვეებში  
 დატკბი!..  
 დატკბი,  
 მზე თუ ლექსს ამბობს,  
 თუ მოუხმობს შენს ამბორს,  
 ზეცა სევდას თუ დარდობს, –  
 დატკბი...  
 დატკბი,  
 გზა თუ ქნარია,  
 ქარმა თმა თუ არია,  
 უმზეო დღე წამია,  
 დატკბი...  
 დატკბი!  
 დროა რჩეული,  
 შენთვის გამორჩეული,  
 სიყვარული – რჩეული.  
 დატკბი!..

## სამოსი

ფორთოხლისფერ ფარდაგებს  
 შარი-შმუშენა უხდება,  
 მე ხელს ვუშვებ არტახებს,  
 დილა ნისლში მწუხრდება.  
 ხმაში ვუხმობ ბადაგებს,  
 მზისფერია გუნება,  
 ჩემს სიყვარულს რა დალევს, –  
 არის გამოუღვევად!  
 შემოდგომის მენამულ  
 ფერებს ვიფენ თვალეზე,  
 ისევე შენ დამენამლე  
 ხმათა ნატკობო ხავერდზე!  
 ბაჯალლოსფერ სხეულში  
 გული ლოცვად ანთია,  
 შემოდგომის მზენულში  
 სიყვარული მაცვია.

# ნომრის სცუმა



**გიზო თავაძე – პოეტი და პროზაიკოსი ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. ქუთაისში. გახლავთ 30 წიგნის ავტორი, არაერთი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, ლიტ. ჟურნალ „მწვანეყვავილას“ მთავარი რედაქტორი და ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის დირექტორი.**

### და ავირჩიოთ ნაზარეველი!

მე შენზე დარდით ვიცი, მოკვდები, მე შენზე დარდი დღემდე მინელეს, ვით ზამთრის პირას მკვდარი

ფოთლები,

ვით გამოცლილი ღვინის ბოთლები, არ მოვაკლდები თვით ჩემს ბინელებს. არ მოვაკლდები ქარიყლაპიებს, თავისუფლება რომ არ გვაღირსეს, თავად მონებმა, ვერ გვაპატიეს ურჩობა... ჰოდა, დაგვახარისხეს და მიგვაკერეს ბითურ პარტიებს... ვერ შეველიეთ წითელ ბელადებს, დღემდე ტაშს ვუკრავთ ცინიზმს,

ლიზობას,

გვიხარია, რომ ვლებავთ ვერანდებს, მაინც ვატარებთ გულში ვერ ნადებ, ავად სახსენებ კომუნისტობას. ლამის ნახირად იქცა თაობა, თუმც, საძოვრები ერთობ მცირდება, მე შენზე ლექსი არ მომწყინდება, ოღონდ, არ შეგვრჩეს არარაობა, – ოდენ პური და სანახაობა!

მე შენზე დარდი გადამიყოლებს, ვერ გეგუები აგრე მძინარეს – ბერბიჭაშვილებს, გიგლა-გიგოლებს, გუგულის კვერცხებს ვინაც

გიგორებს, –

ნუ მიენდობი პირმომცინარეს!.. უამი მოვალს და ერთად იქუხებს, უამი მოვალს და ერთად იელვებს, დედასამშობლო კვლავაც იკრუხებს, მცხეთას მირონი ისევ იდუღებს, დედას ვუტირებთ გადამთილებს!.. უფლის ნებაა თუ ვინ გადარჩეს, უფლის დედაა ჩვენი სავანე, ვერ გამოგვიტანს ვერვინ განაჩენს, ხვალ ისტორია იტყვის დანარჩენს, ვინ უპატრონებს ზერებს და სამანებს... და მაინც, მაინც შიში მანვალებს, ტაძრად ურწმუნო რომ არ

ჩასახლდეს, –

ურჯულოები გკვეცენ ნანწავებს, შავი ფრჩხილებით ფრესკებს

კანრავენ, –

ვაითუ გაძლოს და არ ჩაძალდეს. ჩვენ ვერ დავრჩებით ხელის ბიჭებად, თუ ვინმეს მოსწონს, ღმერთმა

შეარგოს,

ცაზე ღრუბლები წვანან იჭვებად, ორად ვერავინ ვერ გაიჭრება, ელადისაკენ მიცურავს არგო. იქ ბევრს აჭამეს ალიყურები, თრიაქის კვამლშიც ბევრი გაბოლეს, ვახშმად მიუგდეს ხარის ყურები, აქეთ არცერთი არ იყურება, გააბანკროტეს და გააბონეს. გადაავინწყდათ სნო და არღუნი, იმშობლიურეს ცივი კანადა, ვილაცას უნდა გვი აღლუმი, ვილაცას – ბომბი ანუ ლალუმი და ცოტას ახსოვს შობა-კალანდა!.. მოდური გახდა სიტყვა ბიზნისი,

აქ იყიდან, იქ გაყიდიან, ვინაც ვერ შეძლო, მათი ვის ესმის, არადა, მცოდნე ვერდის, ბიზესი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე

კიდა...

მე შენზე დარდმა ბევრჯერ მომცელა, ვით ებრაელნი სასტიკმა გეტომ...

იმან ქვეყანა ისე მოწველა, ამან სამშობლო ასე მოწველა, ხმა ამოიღე, ინტელიგენტო! ნიადაგ ისმის: კლანი, მაფია, ხვალაც მრავალნი გამათხოვრდება, ნუთისოფელი ვისთვის თაფლია, ჯიშს კი აწუხებს დემოგრაფია, ქალი კი არა, კაცი თხოვდება!? მე შენთვის ურჩხულს შევერკინები, მარად იმათი მტერი ვიქნები, რომელთ გაზიდეს ხე-ტყე, რკინები, დღეს კი გემოდვრავენ მოროშკინები, ო, დავიღალეთ მათი ლიქნებით... შემოიძარცვეს ტანზე სამოსი, ვინ მოიზომოს ჯვალო, ფლასები, გოგო ოცისა, კაცი სამოცის, ზოგჯერ პირიქით, – ყმანვილს

გამოცდის,

შუახნის ქალის მასტერკლასები... მტერს და მოყვარეს ცნობა კი უნდა, თუ ომში შეხვალ, „ფართი ან ფარზე“... „მოკეთემ“ ჩვენს სისხლს ჯამი მიუდგა, რის მეზობელი? – არის იუდა! რომ გადაგვყლაპოს, მომდგარა

კარზე...

ყველამ შეირგოს ქვა და გორები, მშობლიურ მინის ბაკში ართვალნი, ტაძარი კლდეში ნაშენ-ნათალი, ვინც სომეხია, იყოს სომეხი! ვინც თათარია, იყოს თათარი! ძალმაც კი იცის ძალის დანდობა, თუ მგლების ხროვა მოადგა ფარას, ჩვენ ვერ დაგვღალა დარდიმანდობამ, სიმღერამ, როკვამ და თამაღობამ, მაინც ჯიუტად მიყვებით შარას... იყო დრო, როცა ფრანგულს

ველტვოდით,

„სპარსულის სიტკობომ“ ბევრი ამღერა, ორას წელიწადს რუსულს ვეტრფოდით და ვიდრე ბრეტანთ ენით ვიტყოდეთ, ვთქვათ გ ა მ ა რ ჯ ო ბ ა! – სიტყვა რამხელა...

სული ცაშია, როგორც ფრინველი, დარუბანდიდან მიქრის ნიკოფსით... დედამინაზე ნომერ პირველი ადამიანი, ჩვენი მითოსი, – ღმერთმა გვიცოცხლოს კათალიკოსი!.. ბევრმა კირთებამ გადაიარა, მტერს კვლავ იზიდავს ჩვენი ტყე-ველი, სამშობლო ლამის იქცეს პიარად, მართალს ვემტყიცოთ, მტყუანს კი არა და ავირჩიოთ ნაზარეველი! და ავირჩიოთ ნაზარეველი!..

შენც დაბერდები, დედამინავე, ჩემო დაიკო, შენც გაგიზარავს გულის კედელს დეტნა, ინფარქტი, მე შენზე ვფიქრობ, რით გიშველო, ანდა რა გიყო, მიირთვი წყალი უკვდავების – ტიგროს-ევფრატი. შენც დაგენყება თავბრუსხვევა, მუხლის კანკალი, შეტორტმანდება ოკეანე ოდეს მინისძვრით, როს ჩამოდგება პლანეტების რთველის სამკალი და გაისვრიან მკვდარ კომეტებს სადღაც, კინისკვრით. შენც გიღალატებს თირკმელები ყოვლის ამტანი, გიმუხთლებს ღვიძლი, დაგერღნება ჭლექით ფილტვები და გაიხარებს შენს წიაღში ბნელი სატანა, მოგსრავს ინსულტი, განქარდები და განილტვები! შემოგეცევა ვირუსები, ინფექციები, – შიდსი, „ისპანკა“, „კორონა“ და სხვა, უმეცრები, მაგრამ არ შედრკე, გაზაფხულზე იფრენს იები ხელიდან ხელში, დაფარავენ ზეცას მერცხლები... აღსასრულემდე? შემოქმედმა ესეც გაშოროს, დაინურება მილიონჯერ ვაზის კუმპალი, ნუ შეგაშინებს, გენაცვალე, ჩემი სიშორე, ეს, მე ვიქნები, შენი მეტრფე, ჭირისუფალი...

### სოფელი

მე და დედა ვართ სოფლად და ჩვენი დიდი სახლი გრძნობს, რომ აქ მიყვარს ყოფნა, როცა გარეთ ყეფს ძალლი, ეზოს ერთგული ყურშა, ტურებთან რომ აქვს ომი, ამინდსაც არა უშავს, დედამ ჩაზილა ლომი... იგი ოთხმოცდახუთის გახდება მარტის თვეში, სამოცს ვუბრუნებ ხურდად, შემოვაბერდი ხელში... „კისელს“ მიღულებს ახლა, როგორც ოდესღაც, მაშინ, უკვე ეტყობა დაღლა, მეც აღარა ვარ ბავშვი... სარქველს მოაძრობს კალათს, ამოკრეფს მტევნებს ყურძნის, ფრთხილად იფერთხავს ხალათს, როგორც ჩვეოდა უწინ... ფოთოლი სცვივით ალვებს, მთას გაუყვითლდა ფერდი, ღვთისმშობლობაა ხვალე, სექტემბრის ოცდაერთი... კარსმომდგარ ზამთარს დარდობს, ჩირს გამოკიდებს ჭერში და ყველა დედა, ამ დროს, ღვთისმშობელია ჩვენში!..

### აბდაუბდა სიზმარი

ი უ მ ო რ ე ს კ ა

ნეტავ, რატომ დამესიზმრა ხიროსიმა, ჩემს მოსვლამდე რომ აღგავეს მინისაგან, ავდექი და მოვილოცე შიომღვიმე, ჩვენი რომა და, ქემინიც, ვიცი, სადა... დავიმგზავრე იანელი, ქერა გოგო, გამიბრაზდა: დღეს თეთრეულს ვაფენდიო, გაგიგიათ ამისთანა ვერაგობა? – ჯერ მაკოცა, მერე მითხრა, დაბერდიო!.. მე, აქ, ყველა ღურდანი და ღელე მიყვარს, სოფელი და, ბუხარი და, კერა როგორ, ახლა შუალამეა და ხელებს ვიფხან, ნეტავ მომცა თბილ ოთახში ქერა გოგო!..